ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 62
17/11/2017

62-04-4-201711171343

პეტიციების განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის ,,გ.ა" ქვეპუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის და 117-ე მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული პეტიციების განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, თანახმად დანართი N1-სა.
2. დანართი N1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

მოქალაქეთა გადაადგილების უსაფრთხოების და სატრანსპორტო რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით დაბა ქედის ცენტრში, ცენტრალური გზის მონაკვეთზე, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული პეტიციების განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მიერ ხელმოწერილი პეტიციას - მოქალაქეთა გადაადგილების უსაფრთხოების და სატრანსპორტო რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით დაბა ქედის ცენტრში, ცენტრალური გზის მონაკვეთზე, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ:

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მონაკვეთს, რომელიც საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია და შესაბამისად აღნიშნული მონაკვეთის კეთილმოწყობა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა ზემოთხსენებული დეპარტამენტის პრეროგატივაა.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერია არ ეთანხმება აღნიშნულ მონაკვეთზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ბარიერები არ არის ეფექტური საშუალებაა სიჩქარის შესანელებლად, ასევე სიჩქარის შესანელებელ ბარიერს აქვს უარყოფითი მხარეებიც, მაგალითად აფერხებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის სწრაფ მოძრაობას. თუმცა, ყოველივე ზემოთხსენებულის მიუხედავად ქედის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე უფრო ეფექტური ხერხით, ვიდრე სიჩქარის შემანელებელი ბარიერია. კერძოდ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის N98 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 2017 წლის 01 აგვისტოს მუნიციპალიტეტისა და შპს „დელთა კონსალტინგი“-ს შორის სახელმწიფო ხელშეკრულების N170 დადება, რომლის საფუძველზედაც ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა 7 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ანალიტიკურ-პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდეო სამეთვალყურეო კამერების სრული კომპლექტი, რომლებიც მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა განლაგდეს (დამონტაჟდეს) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე და სხვადასხვა ადგილებში, რომელიც ხელს შეუწყობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის

კონტროლს, შესაბამის დროულ ღონისძიებების გატარებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაბა ქედის ცენტრი წარმოადგენს დასახლებულ პუნქტს, აქედან გამომდინარე ვრცელდება/მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური სიჩქარით მოძრაობის წესები და შესაბამისი საგზაო მოძრაობის ნიშნები.